

ტოტალ ცე ემი (TOTALCEM)

ავტომატურად მორგებადი / თვითწებვადი კომპოზიტური წებო ლითონისთვის

ტოტალ ცე ემი არის საბოლოოდ დასაფიქსირებელი, ორმაგად პოლიმერიზებადი სპეციალურად ლითონების შეერთებისათვის შექმნილი ცემენტი.

ტოტალ ცე ემი არ საჭიროებს სპეციალურ ფიქსაციას, პრაიმერს ან წებოვან ნივთიერებას.

ტოტალ ცე ემი არის ოტო პოლიმერიზირებადი და ფოტო-პოლიმერიზირებადი. "Automix" სისტემა იძლევა სწრაფი, მყარი და მუდმივი მელანჟის მიღების საშუალებას. რომელიც შეიძლება მოთავსდეს უშუალოდ რესტავრაციაზე ან კბილის ღრუში.

მოხმარების ინსტრუქცია

1) ამოიღეთ დროებითი რეპარაცია. შენიშვნა: გამოიყენეთ მხოლოდ დროებითი ცემენტი ევგენოლის გარეშე. ევგენოლის შემცველი დროებითი მასალების გამოყენებამ შეიძლება ხელი შეუშალოს ტოტალ ცე ემ- ით პოლიმერიზაციის პროცესს.

2) კარგად გაასუფთავეთ წყლით

3) მომზადებული პრეპარაცია ჰაერზე გააშრეთ (არ გამოაშროთ)

4) ეცადეთ მოარგოთ მასალა კბილს, რათა დარწმუნდეთ მის სწორ ადაპტაციაში.

5) გამოიღეთ მცირე რაოდენობის მასალა და ორივე მასა გაასწორეთ გამოყენებამდე. შესარევი წვერი მოარგეთ Automix შპრიცს.

6) მასალის წასმა შესაძლოა მოხდეს შემდეგნაირად:

ა) პლომბი/კბილის მეტალის გვირგვინი

მოათავსეთ ინტრაორალური წვერი შესარევ წვეროზე და პირდაპირ შეიყვანეთ წებო მომზადებულ ღრუში ყველა ზედაპირის დაფარვით. ფრთხილად მოათავსეთ რესტავრაცია პრეპარირებულ ნაწილზე ისე, რომ წებომ შეძლოს ყველა მხრიდან გადმოსვლა.

ბ) გვირგვინი

შეიყვანეთ წებო პირდაპირ სარესტავრაციო ადგილას დაფარავთ რა ყველა ზედაპირს. ფრთხილად მოათავსეთ აღმდგენი ნივთიერება პრეპარირებულ ნაწილზე ისე, რომ წებომ შეძლოს ყველა მხრიდან გადმოსვლა.

გ) ანკერი

წვრილი ინტრაორალური წვერო მოათავსეთ შესარევ წვეროზე, წებო შეიყვანეთ არხში, მოათავსეთ ანკერი და ოდნავ გადაადგილეთ, რათა შიგნით არ დარჩეს ჰაერის ბუშტუკები და წებოს მიეცით არხიდან გადმოსვლის საშუალება.

7) როდესაც რესტავრაცია უკვე სწორად არის დაფიქსირებული, მოაცილეთ წებოს ზედმეტი ნარჩენები, რომლებიც გელის ფორმით გაცილებით იოლი მოსაშორებელია. მათი მოცილება შესაძლებელია ნარჩენების მოსაშორებელი ხსნარით ან ზონდით. გელისებრი მასის მიღებას აადვილებს კიდეებზე შემორჩენილი წებოს ნარჩენების ორი წამის განმავლობაში ფოლოპოლიმერიზაციით პოლიმერიზირება ან მოხმარების შემდგომ, წებოს 1,5-2 წუთით ოტო-პოლიმერიზაციისათვის დატოვება. საუკეთესო შედეგის მისაღებად ფოტოპოლიმერიზაციამდე წუთნახევარი დააყოვნეთ.

8) წებოს ნარჩენების მოცილების შემდეგ, 20 წამის განმავლობაში მოახდინეთ მთელი ზედაპირის ფოტოპოლიმერიზაცია კიდეების ჩათვლით.

9) პროქსიმალური უბნების საბოლოო დასამუშავებლად გამოიყენეთ აბრაზული გასაპრიალებელი ზონრები. კიდეები გააპრიალეთ დისკებით ან გასაპრიალებელი წვეროებით.

10) შეამოწმეთ ოკლუზია.

ძირითადი შემადგენლები	
მატრიცა	UDMA
	Bis-GMA
	TEGDMA
მჟავა მონომერი	4-META
შემავსებელი	ბარიუმის მინა
	სუბლიმირებული სილიციუმი

შენიშვნა: შპრიცის წვეროები განკუთვნილია ერთჯერადი მოხმარებისთვის.

ყურადღება

არაპოლიმერიზებული მეტაკრილატის წებოვანმა შეიძლება გამოიწვიოს კონტაქტური დერმატიტი და დააზიანოს პულპა.

მოერიდეთ კანთან, თვალებთან და რბილ ქსოვილებთან კონტაქტს. კონტაქტის შემთხვევაში, საგულდაგულოდ ჩამოიბანეთ წყლით.

შენახვის პირობები

მოარიდეთ 24 ° C / 75 ° F მეტ ტემპერატურას.

შეინახეთ მზის პირდაპირი სხივებისგან დაცულ ადგილას.







მაქსიმალური კონსერვაციისათვის შეინახეთ მაცივარში.

არ გაყინოთ

თუ პროდუქტი ინახებოდა მაცივარში, გამოყენებამდე შპრიცი გაათბეთ ოთახის ტემპერატურაზე.

არ გამოიყენოთ ვარგისიანობის ვადის გასვლის შემდეგ. ვარგისიანობის ვადა იხილეთ შეფუთვაზე.

სიმბოლოები

	შეინახეთ მშრალ ადგილას
	იხილეთ ინსტრუქციები
	მწარმოებელი
	მოარიდეთ მზის სინათლეს
	ტემპერატურის შეზღუდვა
	გამოიყენება
RxOnly	მხოლოდ რეცეპტით

მწარმოებელი:

ITENA

www.itena-clinical.com

საფრანგეთი, პარიზი 75116, ფოჩის გამზ.83

ტელ.: +33(0)1 45 91 30 06

0120

2005

14/10/2012

მთარგმნელი: